1.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.:
წარმოდგენილ იქნას საპროექტო ტერიტორიის, არსებული სიტუაციის ამსახველი განახლებული ფოტოსურათები. გაითვალისწინეთ, რომ ფოტოსურათები უნდა ასახავდეს ტერიტორიაზე არსებულ მდგომარეობას სრულად.

შესწორებულია
(გიგზავნით 15/09/2023 -ის მდგომარეობით არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტოსურათებს)

2. წარმოდგენილი იქნას მიწის ნაკვეთის იპოთეკარის თანხმობა სამშენებლო სამუშაოების განხორციელების თაობაზე (წარმოდგენილი დოკუმენტი ეხება ფართების გადაცემის საკითხს), რომელიც უნდა გაიცეს სს "საქართველოს ბანკის" რეგისტრირებული წესდების შესაბამისად უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ან თან ახლდეს ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

შესწორებულია
(იპოთეკარის თანხმობა და ხელმომწერის უფლებამოსილება ატვირთულია ველში- ".არსებობის შემთხვევაში თანამესაკუთრის თანხმობა.")

3. წარმოდგენილი იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 30 ივლისის N21.1065.1193 განარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ასევე უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში.

შესწორებულია
ხელშეკრულება და განახლებული ამონაწერი ატვირთულია ველში "ფაილის მიმაგრება"